<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივლისი 2017 წელი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ნიკიფორე ირბახის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის პიდაგოგის გრიგოლ კობახიძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ნიკიფორე ირბახის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს პედაგოგის გრიგოლ კობახიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:484,953.619
Y:4,615,703.489
X:484,977.763
Y:4,615,703.912
X:484,950.911
Y:4,615,702.877
გრიგოლ კობახიძის სკვერი
X:485,002.480
Y:4,615,644.605
X:484,992.395
Y:4,615,636.458
X:484,965.473
Y:4,615,630.945
X:484,995.422
Y:4,615,633.664
X:484,984.361
Y:4,615,629.389

გრიგოლ კობახიძე

(1910-1989)

დამსახურებული პედაგოგი. 47 წელი ხელმძღვანელობდა სკოლას და ეს სკოლა დღეს მის სახელს ატარებს

დაიბადა 1910 წელს დაიბადა ხობის რაიონის ს. ხეთაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო მასწავლებლად მუშაობა, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის დირექტორად. 1954 წელს 24-ე ვაჟთა სკოლას შეცვალა სახელი და იწოდებოდა 77-ე საშუალო სკოლად, რომელსაც გრიგოლ კობახიძე ხელმძღვანელობდა 1989 წლის ბოლომდე.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად გრიგოლ კობახიძე ეწეოდა მეთოდურ საქმიანობასაც, გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე ნაშრომი.

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის წოდება. ის იყო ერთადერთი მასწავლებელი საქართველოდან, ვისაც ეს წოდება მიანიჭეს. არის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ორდენის კავალერი და ამავე სახელწოდების პრემიის ლაურეატი.

77-სკოლა, რომელსაც გრიგოლ კობახიძე 47 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, იყო ერთ-ერთი მოწინავე სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება, რომელმაც მრავალჯერ მიიღო გამარჯვებულის წოდება. წლების განმავლობაში საზოგადოებამ სკოლას შეარქვა სახელი „კობახიძის სკოლა“ და დღესაც ამ სახელით იცნობენ.